სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა

ოლქი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 წლის 15 დეკემბერი №150 (10387) ფასი 8 კაპ.

ზუგდიდის საოლქო-საბჭოთა-პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ალექსანდრე ვარძელაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, ავთანდილ მარგიანი, ნოდარ ნათაძე, ლევარდ ტუბაშვილი, ანდრია აფაქიძე, ფოტი ჩიტლოვი, ვლადიმერ მირცხულავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ლევან ალექსიძე. დეპუტატების წინაშე გაჩოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი გენრიხ მალიუშკინი.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებულია აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (კანონი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის საკითხი, რაც მოახსენა სესიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, მზექალა შანიძე, ეთერ გუგუშვილი, რომან გოცირიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნუგზარ მოლოდინაშვილის ინფორმაცია და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. განისაზღვრა ამ არჩევნების მოწყობის თარიღი—1991 წლის 3 მარტი. მიღებულია აგრეთვე დადგენილება ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს გ. დ. მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის—რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნინო ჯავახიშვილი, ბიძინა დანგაძე.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამირან კალაძის წინადადებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის № 1 მოწმობა გამოიწეროს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელზე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა ახლანდელ რთულ სიტუაციაში დაიცვას სიმშვიდე, ხელი შეუწყოს მდგომარეობის სტაბილიზაციას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ყველაფერი იღონოს სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ხს „საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა დავის ისტორიულ ტერიტორიაზე—ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო—აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის № 2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.

4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

—საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

—განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

—შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დაგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს სხდომა, რომელმაც იმსჯელა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დღეს გამოდის მრავალი გაზეთი და ჟურნალი. მათი რედაქციები ხელმძღვანელობენ თავისუფალი პრესის პრინციპებით, რაც ნათლად არის გამოხატული ახალ წესდებაში.

საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველას, ვინც კი მოინდომებს, აქვს უფლება ჩაერიოს მათ მუშაობაში. ყოველ გაზეთს, ჟურნალს, რადიოს თუ ტელევიზიას უნდა ჰქონდეს თავისი გამოკვეთილი პოზიცია, რომელსაც ახორციელებს სარედაქციო კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა.

სამდივნოს მიაჩნია, რომ ნების მიერი დიქტატი საინფორმაციო საშუალებების მიმართ ყოვლად მიუღებელია.

ხს „საქართველო“.

ოდიში — 1990 წლის 15 დეკემბერი — ეროვნული მე ბ ლ ბ ვ ბ ბ ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულაცია, კომერცია და... გაზეთ „ოდიშის“ რედაქცია

გაზეთ „ოდიშის“ 1990 წლის 23 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ა. არნანიას წერილი „ფართო გზა გაეხსნა სპეკულაციას“, რომელსაც წამძღვარებული აქვს გაზეთის სარედაქციო ფოსტის მოკლე მიმოხილვა, ხოლო წერილის ბოლოს დართულია რედაქციის მინაწერი, აუცილებლად მივიჩნიეთ ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა ამ მასალის მიმართ, მასალისა, რომელიც არაკომპეტენტურია თავიდან ბოლომდე.

ბატონ ა. არნანიას წერილი ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარში მომხდარი დარბევის ფაქტის შეფასებით იწყება. თურმე დარბევის ორგანიზატორებს „მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა... აქტიურად დაუჭირა მხარი“. ეს ხომ წმინდა წყლის სიცრუეა. როგორ, ისე ზნეობრივად დაცემულია ჩვენი საზოგადოება, რომ მისი დიდი ნაწილი დარბევას უჭერს მხარს, რა სახის დარბევაც არ უნდა იყოს ის? მაგრამ ეს მხარდაჭერა ბატონ ანტონს სჭირდება საკუთარი პოზიციის განსაბუტკიცებლად, რომელიც გაკვირვებით აქვს გაცხადებული— „ან რატომ არ დაუჭერდა“-ო, ბატონო ანტონ, რადგან თქვენი წერილი სპეკულაციას ეხება გაუზვიადებლად უნდა შეგახსენოთ, რომ სწორედ საკუთარი პოზიციის „მოქალაქეთა დიდი ნაწილის“ პოზიციად გამოცხადებაა სპეკულაცია და ის უფრო დასაძრახია, რომ საზოგადოება უზნეოდ გამოიყენა. და ბოლოს, გახსოვთ, ალბათ, ქართული ანდაზა: „პური მეპურეს გამოაცხობინე და 2 პაურიც ზედ დაამატეო“.

ბატონი ანტონი სამართლიანად შენიშნავს, რომ ბაზარში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ადმინისტრაციული წესით ფასების დაწესება არასწორია (საკვირველი კია, კაცი დარბევას ამართლებდე და ადმინისტრაციულ მეთოდებზე უარს ამბობდე). მაგრამ თურმე ფარგლული. მაგრამ არ შეიძლება ბატონ ანტონს და მის თანამოაზრეებს არ შევახსენოთ, რომ დროა სიტყვა „სპეკულაცია“ ჩვენს ყოველდღიურობაში, აზროვნებაში შეცვალოთ სიტყვა „კომერციით“ ან გავაიგივოთ მათი შინაარსი, ან კი დევ სპეკულაცია კომერციის უფრო მარტივ ფორმად მივიჩნიოთ.

ზემოთ თქმული მთლიანად რედაქციასაც ეხება, რადგან რედაქციას მიაჩნია, რომ მოქალაქე არნანია სწორად სვამს საკითხს“. თუმცა მასთან ცალკე უნდა გავასწოროთ ანგარიში. პირველ რიგში ვუპასუხოთ კითხვას, „თუ რა აუცილებლობით არის ნაკარნახევი ყოველ ფეხის გადადგმაზე კომერციული მაღაზიების გახსნა ჩვენს ქალაქსა და რაიონში?“ პატ. რედაქციავ, კომერციული მაღაზია არის აუცილებელი ელემენტი საბაზრო ეკონომიკისა (რომლის საქებსადიდებლად თქვენ რამდენიმე მოწინავე სტატიაც კი გამოაქვეყნეთ) და იმისთვის არის კომერციული მაღაზიების „ყოველ ფეხის გადადგმაზე“ გახსნა აუცილებელი, რომ მათ შეძლონ ბაზრის ფასების რეგულირება.

შემდეგი კითხვა რედაქციისა ასეთია: „გვაქვს თუ არა მორალური უფლება ვისარგებლოთ ქვეყანაში შექმნილი სამრეწველო საქონლის დეფიციტით და გავატყაოთ ისედაც სიდუხჭირ უმდე მისული ხალხი?“ პირდაპირ სასაცილოა, კომერსანტს ან ბიზნესმენს აუკრძალო საქონლის დეფიციტით ხარგებლობა. აზის გარდა, დეფიციტს ფასის შეზღუდვა კი არ დაფარავს, არამედ გაზრდის. რაც შეეხება მორალურ უფლებას, ეკონომიკა მორალური კოდექსი კი არ რეგულირდება, არამედ თავისი შინაგანი, საკმაოდ მკაცრი კანონებით. სიდუხჭირემდე კი, პატივცემული რედაქციავ, ჩვენი ხალხი არ მისულა. რომ არ იყიდებოდეს მაღალ ფასად საქონელი, მისი უფასო აუცილებლად დაიწევდა. ესეც ბაზრის კანონია. სხვა საქმეა ყველასათვის რომ არაა მისაწვდომი კომერციულ მაღაზიებში არსებული საქონელი. უნდა მივიჩნიოთ იმას, რომ თანდათან ეს პრობლემა შერბილდება, თუმცა ბოლომდე არასდროს არ გადაწყდება. როგორ ფიქრობთ, მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ყველა ყველაფრის ყიდვას ახერხებს?

ახლა იმაზე, თუ „ვინ შეუწყო ხელი კომერციული მაღაზიების გახსნას“ .., კომერციული მაღაზიები გაიხსნა და იხსნება კანონმდებლობის სრული დაცვით, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. რაც შეეხება ხელშეწყობას, ეს ხდება იმისა თვის, რომ სტიმული მიეცეს ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. დარწმუნებული ვართ, რომ კომერციული ქსელი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოტივაციური შემადგენელია.

მოკლედ შევჩერდეთ სარედაქციო ფოსტის მიმოხილვაზეც. თურმე სარედაქციო ფოსტის ანალიზიდან ირკვევა, რომ კომერციულ მაღაზიებში... „სიძვირის მიუხედავად გაუყიდავი არაფერი რჩება“. მაგრამ ვინ არის მყიდველი? თურმე ეს ის ხალხია, ვინც უშრომელად აგროვებს ფულს. კომერციულმა მაღაზიებმა, როგორც ჩანს „არ შეიძლება რაიმე სიკეთე შოუტანონ მშრომელ ხალხს“. კომენტარი აქ ზედმეტია. ეს ხომ წმინდა წყლის დემაგოგიაა.

ბოლოს რედაქციის (და არა მარტო რედაქციის) ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთ ასეთ საკითხს. ცუდია მომწიფებული პრობლემის შინაარსში გაურკვევლობა, მაგრამ უარესია თუ არაკომპეტენტურია სუბიექტის მსჯელობა ამ პრობლემის ირგვლივ. რედაქცია ბევრად მოიგებდა, თუ ბატონ ა. არნანიას წერილს მიმოხილვისა და მინაწერის გარეშე გამოაქვეყნებდა. და კიდევ: დავანებოთ თავი სხვისი სახელით საკუთარი აზრის გამოთქმას; დროა, ამა თუ იმ პრობლემაზე საკუთარი პოზიციიდან ვთქვათ სათქმელი; ამასთან, შეეცადოთ ვიყოთ მაქსიმალურად კომპეტენტურნი იმ საკითხში, რომელსაც ვაშუქებთ.

ბ. ფიფია,
სმედმსი-ის ზუგდიდის განყოფილების გამგე.

აქტუალური ინტერვიუ

ზამთარი მაინც ზამთარია...

ბადლობა ღმერთს, ზამთრის კვალობაზე ამინდს ჯერჯერობით ვერ დავიმდურებით. მაგრამ ზამთარი მაინც ზამთარია და დღე-დღეზე შეიძლება კლანჭები გამოაჩინოს სუსხისა თუ თოვლის სახით, რისთვისაც ამთავითვე მზად უნდა იყონ თბოსამსახურები. არიან კი მზად?—ამ და სხვა საჭირბოროტო კითხვებით მივმართეთ ქალაქის საბინაო - კომუნალური მეურნეობის გაუყოფილების მთავარ ინჟინერს რეზო გვილიას.

—ბატონო რეზო, რითი თბება ქალაქი და, საერთოდ, არის თუ არა მზად ქსელი თბობის სეზონისათვის?

—ქალაქის საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, კომუნალური საცხოვრებელი სახლების 70 პროცენტი თერმული წყლით თბება, ხოლო დანარჩენი—ინდივიდუალური საქვაბეების შეშვეობით . ასეთი საქვაბე ქალაქში ოცდასამია. ყველა ისინი ამ ზაფხულს შეკეთდა. დღესდღეობით შემოტანილი გვაქვს 440 ტონა თხევადი საწვავი, 300 ტონამდე მყარი ნახშირი, რაც 25-28 დღის მარაგია. რაც შეეხება საშეშე შერქანს, ჩვენ ის ვერ მოვიმარაგეთ სატყეო მეურნეობის მიზეზით...

წლეულს ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დამატებით დამონტაჟდა 2 ახალი ქვაბი. ახლა იქ ოთხი ქვაბი იფუნქციონირებს და მათ სისტემაში ჩაირთვება კოლხეთის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სულ—250 ბინა. აგრეთვე გაყვანილ იქნა 350 გრძივმეტრი ახალი თბოტრასა. შიგათბოქსელი გაპინჭულია და ძირითადში მზადაა ცხელი წყლის მისაღებად.

—დაასახელეთ ის სამსახური, რომლის უშუალო კომპეტენციაში შედის ქალაქის თბოუზრუნველყოფა.

—თქვენი შეკითხვა კორექტივს საჭიროებს. კერძოდ, ქალაქის გათბობის საქმეს დღეს ერთი კი არა სამი სხვადასხვა ორგანიზაცია ემსახურება: თბომეურნეობის საექსპლოატაციო კანტორა, სახლმმართველობა და გეოთერმული წყლების სამმართველო. თბომეურნეობის კომპეტენციაში შედის საქვაბე მეურნეობის მოწესრიგება და მისი გამართული ექსპლოატაცია, სახლმმართველობის მოვალეობაა აწარმოოს შიგაქსელისა და საქვაბეებიდან შენობა-ნაგებობამდე თბოტრასის კაპიტალური შეკეთება, ხოლო გეოთერმიის სამმართველო ვალდებულია უზრუნველყოს წყლის მიწოდების სტაბილურობა.

—გამოდის, რომ ქალაქის გათბობის საკითხი, შეიძლება ითქვას, „სამი ძიძის“ ხელშია. როგორ ფიქრობთ, კარგი ეს თუ ცუდი?

—ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ მდგომარეობას ვერ ეუწოდებ. აუცილებელია გათბობის საქმეს თავიდან ბოლომდე ერთი ორგანიზაცია განაგებდეს, ანუ ერთი „პატრონი“ ყავდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აიცილებთ თავიდან ნებსით თუ უნებლიე გაუგებრობებს, მავნე სამსახურებრივ გამოჯვნას, „ეს მე არ მეხებას“ პრაქტიკას და ა. შ. სანამ ეს არ მოწესრიგდება— ქალაქში გათბობის საკითხის ნორმალიზება წარმოუდგენელია. არის სხვა პრობლემებიც. კერძოდ, რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტროდან მომარაგება „თითქმის ნულის ტოლია“. ხელს გვიშლის ელექტრო ენერგიის ხშირი გამორთვები, ძაბვის ეარდნა...

—და ბოლოს ერთი კონკრეტული შეკითხვა: როდის ჩაირთვება ქალაქის გათბობა?

—თბობის სეზონი 19 ნოემბერს შევიდა ძალაში. კარგი ამინდის, ბუნებრივი სითბოს გამო თბოქსელი არ ჩაგვირთავს. 15 დეკემბრისათვის ჩაერთავთ. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ზუგდიდელ მშრომელებს სითბო არ მოაკლდეთ.

ესაუბრა ჯამბულ არაანია.

სიკეთე მოეტანოს

არც ისე დიდი დროა, რაც ჩვენს უბანში გაიხსნა №20 სბაკშვო ბაღი (გამგე წანი ქირია). გულდამშვიდებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატარები ნამდვილად საიმედო ადგილას გვეგულება, ბაღის კოლექტივი უანგაროდ ზრუნავს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებზე. ყველა ერთნაირად ყურადღებით ირჯება—პედაგოგები, მომვლელი, მზარეული თუ დამლაგებელი.

სბაკშვო ბაღს ჯერჯერობით არა აქვს სათანადო ტექნიკური ბაზა, კარგი იქნება თუ შესაბამისი სამსახურები იზრუნებენ მისი გაუმჯობესებისათვის.

ახლოვდება ახალი წელი. ვისურვებდით, ახალ 1991 წელს გაახლება მოეტანოს ბაღის კოლექტივისათვის, სიკეთე და „შვიდობა“ მთელი საქართველოსათვის.

ბ. ეხვაია, ი. გვილავა.

მიმდინარეობს დეპარტიზაცია

ამ დღეებში ჩატარდა ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება.

კრების მონაწილეთა ხმის უმრავლესობით გადაწყდა გაუქმდეს სკკპ პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რიგები დატოვეს პარტბიუროს მდივანმა თამაზ ტყეშელაშვილმა, მოადგილემ ვაჟა კიტიამ და სხვებმა.

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომები იუწყებიან საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ლეო დიმიტრის ძე ჭედიას გარდაცვალებას.

ლ. დ. ჭედიას დამბრძალავი კომისიისაგან.

ა. წ. 15 დეკემბერს 14 საათზე ცხედარი დასვენებული იქნება შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში. გამოსვენება 15 საათზე, დაკრძალვა 16 საათზე, ქალაქის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. დ. ჰ ე დ ი ა

ქართულ თეატრალურ მოღვაწეთა პლეადას გამოაკლდა კიდევ ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი და უანგარო მოღვაწე, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი, რესპუბლიკური ბრიგადის, პერსონალური პენსიონერი ლეო დიმიტრის ძე ჰედია.

საინტერესო და შინაარსიანი, რთული ცხოვრების გზა განვლო ბატონმა ლეომ: დაიბადა 1904 წლის 24 დეკემბერს წალენჯიხაში. იგი ცნობილი პროვიზორის დიმიტრი ჰედიას მეცხრე შვილი და მთელს სამეგრელოში სახელგანთქმული, ქველმოქმედი აზნაურის დათია ჰედიას შვილიშვილი იყო. სენაკის, შემდეგ კი ზუგდიდისა და ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. ნიჭიერი ახალგაზრდა გატაცებული იყო მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობით: პიერ კობახიძესთან, ვანიონ დარასელთან, ბენიტო ბუაჩიძესთან, გიორგი მდივანთან, კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან ერთად აყალიბებს ახალგაზრდულ ლიტერატურულ გაერთიანებას. წერს ლექსებსა და მოთხრობებს. წამყვან პარტიებს მღერის ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში, ქმნის თეატრალურ დასს, წარმოდგენებს მართავს ზუგდიდში, ქუთაისში, წალენჯიხაში. 1923 წელს აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და ნადეჟდა ცომაიასა და პეტრე ამირანაშვილთან ერთად ინტენსიურად მეცადინეობს ვრონსკისა და რიანდოვთან. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად იგი გადავიდა სასწავლებლად თეატრალურ სტუდიაში. ახალგაზრდა შემოქმედი აქტიურად მონაწილეობს ცნობილი თეატრალური მოღვაწის გუგული ბუხნიკაშვილის მიერ შექმნილ კულტურულ-საგანმანათლებლო ექსპედიციაში, ფეხით მოიარა საქართველოს მთიანეთი, შორეული და მიუვალი სოფლები: მუშაობდა ჭიათურის, სოფლების, თელავის დრამატული, ხემდევ კი სატირისა და ესტრადის წითელარმიელთა თეატრებში.

1936 წელს ლეო ჰედია სოხუმში მიიწვია სამუშაოდ ნიჭიერმა რეჟისორმა და ორგანიზატორმა ვახტანგ გარიკმა (ვახტანგ ვაჩნაძემ) აქედან მოყოლებული, ვინ მოსთვლის რამდენი დასამახსოვრებელი, ამაღელვებელი სცენური სახე შექმნა მან ასევე ნიჭიერი და პოპულარული რეჟისორების სერგო ჭელიძის, ბ. სვანიძის, გიორგი გაბუნიას, გიორგი ყურულის, ასტიკო გამსახურდიას, გივი ვასაძისა და სხვათა სპექტაკლებში.

მეტად ნაყოფიერი გამოდგა ლეო ჰედიას რეჟისორული მუშაობა. საერთო აღიარება დაიმსახურა მისმა სპექტაკლებმა გ. ნახუცრიშვილის „ნიკოჭქეიამ", ი. ვაკელის „რეალმა", ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულმა", ა. კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან", ფიგერეიდოსის „მელია და ყურძენმა", ა. წერეთლის „პატარა კახმა", ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა" და მრავალმა სხვამ.

ლეო ჰედია რამდენიმე წლის მანძილზე იყო სოხუმის თეატრის მთავარი რეჟისორი.

საყოველთაოდ ცნობილია ლეო ჰედიას ღვაწლი აფხაზეთში ხალხური შემოქმედების შემდგომი განვითარების საქმეში. წლების განმავლობაში იგი იყო სამხატვრო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი საოლქო თუ რესპუბლიკური დათვალიერების, ოლიმპიადების, კონკურსებისა თუ ფესტივალებისა. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა არაერთი დრამატული თუ მუსიკალური სტუდია, მხატვრული კოლექტივი. კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

ლეო ჰედია იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არაერთი მოწვევის დეპუტატი, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მრავალი მედლით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები. იყო საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო განათლების წარჩინებული.

კულტურისა და ხელოვნების ამ მრავალმხრივი შემოქმედის, ალმზრდელისა და საზოგადო მოღვაწის, სანიმუშო მოქალაქისა და უანგარო მამულიშვილის—ლეო ჰედიას ნათელი სახე მარად დარჩება ყველა იმათ გულსა და ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავნია და დამტკბარა მისი დიდი და მაღალი ხელოვნებით.

ზუგდიდის თეატრალური საზოგადოება.

რედაქტორი
აკ ჭანტურია.

ზუგდიდში დამოუკიდებელ საწყისებზე არსებული კოოპერატივი „იაკობი" აწარმოებს კოოპერატივებიდან, მოსახლეობიდან და საგამომცემლო საწარმოებიდან დეფიციტური წიგნების შეძენას და რეალიზაციას დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩვენთან შეგიძლიათ გამოიწეროთ. შეუკვეთოთ და იყიდოთ: მხატვრული ლიტერატურა, დეტექტივი, ფანტასტიკა, მედიცინა. ეროტიკა, სექსის ხელოვნება, წიგნები და ბროშურები: აღმოსავლეთის ხელჩართული ბრძოლები (კარატე. უშუ), „საზღვარგარეთ გამგზავრება, მუშაობის დაწყება, მეგობრების შეძენა" და ა. შ. როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე.

გელით მეგობრებო!. ჩვენი მისამართია: ზუგდიდი, რუსთაველის 91, სასტუმრო „ოდ- პირველი სართული.

აბონენტებს შეეახსენებთ!

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია შეახსენებს კერძო ტელეფონების მფლობელებს და წარმოების ხელმძღვანელებს, დროულად გადაიხადონ კავშირგაბმულობის საშულებით მომსახურების თანხების დაგვიანება.

გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, დაიწყება ტელეფონების გამორთვები და მათი ხელახლა ჩართვა გაბმულობდა დიდი რაოდენობით გამორთვების გამო.

ექიმი ნევროპათოლოგ-ქირურგი ტოლოგი ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი (კიევიდან) პაციენტებს ღებულობს 21 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24. ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 14 საათამდე (ბინაში სანიტონრმები დაცულნ, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს 12 საათზე მოწვეულია სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭოს ინსტრუქტორების თათბირ-სემინარი: შემდეგი დღის წესრიგით:

1. ზუგდიდის სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭოს 1990 წლის სპორტული ღონისძიებების ჩატარების და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სპორტსმენთა მონაწილეობის, შედეგები.

2. ზუგდიდის სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭოს 1991 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის განხილვა-დამტკიცება

სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭო.

იწარმოებს მეანაბრეთა მოთხოვნილებისამებრ

ზუგდიდის შემნახველი ბანკის განყოფილებასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ფილიალებში დღემდე გახსნილი ვადიანი ანაბრების გადაფორმება ახალ გადიდებულ პროცენტულ განაკვეთებზე —1 წელზე მეტი ვადით 3 წლამდე 5 პროცენტი წლიური მირიცხვით, 3 წელზე მეტი ვადით— 5 წლამდე —7 პროცენტი წლიური მირიცხვით და 5 წელზე მეტი ვადით 9 პროცენტი წლიური მირიცხვით იწარმოებს მეანაბრეთა მოთხოვნისამებრ 1991 წლის 1 მაისამდე, ხოლო გადაფორმებულ ანაბრებს პროცენტები მიერიცხება 1990 წლის 1 ნოემბრიდან, მიუხედავად მათი გადაფორმების თარიღისა 1991 წლის 1 მაისამდე პერიოდში.

ქ. ზუგდიდის შემნახველი ბანკის განყოფილება.

ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობენ ღალი გვიჩიანს ღუდის

ნათელა მოხეს ასულ გვიჩიანი-ქვიციანის

გარდაცვალების გამო.

ქალაქის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება და სამედიცინო კოლექტივის პროფესიული კავშირი იუწყებიან

დავით აკაკის ძე ლარასელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობენ ღალი

ნათელა მოხეს ასულ გვიჩიანი-ქვიციანის

გარდაცვალების გამო.

ქ. ზუგდიდის ქალთა კონსულტაციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაცვალა

დავით აკაკის ძე ლარასელია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გამზრდელი მანია ჯიჭონაია, მეუღლე ფაციკო, შვილები: ლათოგია. ხანა, მარინა, რძალი მაია ლაგვილავა, დები ნათელა. ეენერა შამათავები, ბიძაბარიტონ შამათავა, შვილიშვილები: ლევანი, ლაშა. ირმა ჩუხუები. სიძეები შოთა სანაია. ჯუმბერ ჩუხუა. მამიდები: ლილი. ხატული ჯიჭონაიები, დისშვილები: კოტე. ლალი ფიფიები. გია, გელა. მაგონა სანაიებ. მზახლები ალიოშა ლაგვილავა, სულიკო ჯომიდავა. ქიკინო ჩუხუა. სიდედრი ვარო ღურწკაია, ცოლისდა ლამარა ძანძავა, ცოლისძმები ხუტა ღურწკაია, რუდე ძანძავა. ქვისლი ჟორა ურუშაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები.

ახლო ნათესავები იუწყებიან

გურამ (მამია) კოლიას ძე შამათავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16. 17 დეკემბერს. დაკრძალვა 18 დეკემბერს სოფ. შამგონაში.

ლეონიდ ბაბუა ძე ბაბუტეიშვილი, ბაბუტეიშვილი, ბაბუტეიშვილი,